

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ

#### მუხლი 1.

კანონი განსაზღვრავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი შემოსულობების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილების წესს.

#### მუხლი 2.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი შემოსულობები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის ნაწილდება კანონის დანართის შესაბამისად.

#### მუხლი 3.

ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

#### მუხლი 4.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი შემოსულობები ბიუჯეტებს შორის ნაწილდება მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად.

#### მუხლი 5.

საგადასახადო კანონმდებლობით გაუქმებული გადასახადებიდან მიღებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი საბიუჯეტო შემოსულობები სრულად ირიცხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

#### მუხლი 6.

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის 13 ივნისის კანონი („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო მაცნე“ №15 14.06.2007, მუხლი 39).

#### მუხლი 7.

კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე

გიორგი ბარამია

ქ. თბილისი.

2009 წლის 3 დეკემბერი

	შემოსულობების დასახელება	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები
#	1	2	3
1	საშემოსავლო გადასახადი	100	
2	ქონების გადასახადი		100
3	პროცენტები (სარგებელი) ცალკეული ხასიათის ფინანსური აქტივებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან (ფასიანი ქაღალდებიდან აქციების გარდა), და სხვა შემოსავალი პროცენტებიდან, განკუთვნილი:		
3.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის	100	
3.2	ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის		100
4	შემოსავალი დივიდენდებიდან		
4.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების და კერძო საწარმოების მოგებიდან	100	
4.2	ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების და კერძო საწარმოების მოგებიდან		100
5	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	100	
6	შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარაში და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	100	
7	შემოსავალი ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან	100	
8	შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის		100

	მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან		
9	შემოსავალი სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურიდან, გადახდევინებული ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურის მიერ	100	
10	რენტა (გარდა მიწისა), გადახდევინებული:		
10.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
10.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
11	სალიცენზიო მოსაკრებელი, გადახდევინებული ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
12	სანებართვო მოსაკრებელი, გადახდევინებული:		
12.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
12.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
13	სახელმწიფო ბაჟი საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და ემიგრაცია-მიგრაციის საკითხების განხილვისათვის:		
13.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა	100	

	შესაბამისი სამსახურების მიერ		
13.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
14	სხვა სახელმწიფო ბაჟი, გადახდევინებული:		
14.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
14.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
15	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, გადახდევინებული		
15.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
15.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
16	სატენდერო მოსაკრებელი – სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას:		
16.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
16.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
17	შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან		100
18	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი, გადახდევინებული:		
18.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
18.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების		100

	მიერ		
19	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი		100
20	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის		100
21	კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი		100
22	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის		100
23	მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული და ბირთვული ობიექტების მშენებლობისა).		100
24	მოსაკრებელი სამოქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისთვის.		100
25	სხვა მოსაკრებელი, გადახდევინებული:		
25.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
25.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
26	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება:		
26.1	შემოსავალი სხვა საქონლის რეალიზაციიდან, გადახდევინებული:		
26.1.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
26.1.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების		100

	მიერ		
26.2	შემოსავალი მომსახურებიდან, რომელიც გაწეულია:		
26.2.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
26.2.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
26.3	შემოსავალი სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც:		
26.3.1	განლაგებულია ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სახელმწიფო სარგებლობაშია	100	
26.3.2	ავტონომიური რესპუბლიკის სარგებლობაშია	100	
26.4	შემოსავალი ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	100	
26.5	შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ) გადაცემიდან		100
26.6	შემოსავალი სხვა სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და ახვა) გადაცემიდან, გადახდევინებული:		
26.6.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
26.6.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100

27	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმებიდან, საურავებიდან)		
27.1	შემოსავალი სხვადასხვა სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან, გადახდევინებული:		
27.1.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
27.1.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
27.2	შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმებიდან		100
27.3	შემოსავალი გაცემული სესხის დაფარვის ვადის დარღვევისათვის გადახდილი საურავიდან, გადახდევინებული:		
27.3.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
27.3.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
27.4	შემოსავალი არქიტექტურულ- სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებისათვის გადახდილი ჯარიმებიდან, გადახდევინებული:		
27.4.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
27.4.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
27.5	შემოსავალი სხვა ჯარიმებიდან და საურავებიდან, გადახდევინებული:		
27.5.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა	100	

	შესაბამისი სამსახურების მიერ		
27.5.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
28	შემოსავალი მიმდინარე ტრანსფერებიდან, შემოწირულობებიდან და ქველმოქმედებიდან (გრანტების გარდა), განკუთვნილი:		
28.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის	100	
28.2	ადგილობრივი თვითმმართველობისათვის		100
29	შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო- სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან		100
30	ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსავალი, მიღებული:		
30.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ	100	
30.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ		100
31	შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან		
31.1	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	100	
31.2	შემოსულობა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	100	
31.3	შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან		100
31.4	შემოსულობა ლიცენზიების გაყიდვიდან	100	
31.5	შემოსულობა მატერიალური		



	მარაგების (ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია და შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი) გაყიდვიდან, განხორციელებული:		
31.5.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
31.5.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
31.6	შემოსულობა ფასეულობების გაყიდვიდან, განხორციელებული:		
31.6.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
31.6.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100
31.7	შემოსულობა არაწარმოებული აქტივებიდან		
31.7.1	შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია:		
31.7.1.1	ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე	100	
31.7.1.2	შემოსულობა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან	100	
31.7.1.3	შემოსულობა ადგილობრივი		100

	თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან		
31.8	შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია:		
31.8.1	ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე	100	
31.9	შემოსულობა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან	100	
31.10	შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან		100
31.11	შემოსულობა არაწარმოებული არამატერიალური აქტივებიდან (პატენტები, სალიზინგო ხელშეკრულებები და სხვა ანალოგიური კონტრაქტები, აგრეთვე შეძენილი გუდვილი), გადახდევინებული:		
31.11.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100	
31.11.2	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ		100

31.12	შემოსულობა მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებიდან		100
32	შემოსულობა ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან, განკუთვნილი		
32.1	ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის	100	
32.2	ადგილობრივი თვითმმართველობისათვის		100